ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის ჟურნალი

№2, 2019

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

თამარ ტალიაშვილი*
ირაკლი შამათავა**

ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და აღსრულების ახალი საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით,[1] (შემდგომში – ასოცირების ხელშეკრულება) ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მექანიზმების ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზების პროცესის ახალი ეტაპი დაიწყო.

ამ თვალსაზრისით, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და აღსრულების ადეკვატური და ეფექტიანი დონის მისაღწევად, 2017 წლის 23 დეკემბერს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (შემდგომში – სსსკ) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა მეშვიდე5 კარი, „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის საქმეზე სამართალწარმოების თავისებურებანი“.

საკანონმდებლო ცვლილებებამდე, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის საქმეზე, მოსარჩელეს შეეძლო მოეთხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, თუმცა აღნიშნული ექცეოდა სხვა ღონისძიებათა კატეგორიაში, პრაქტიკაში გარკვეული სირთულეები გამოვლინდა. საკმაოდ ძნელდებოდა დასაბუთება იმისა, რატომ უნდა გამოყენებულიყო განსხვავებული ტიპის უზრუნველყოფა. ამ და სხვა პრობლემის მოწესრიგებას ემსახურება ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილებები, რაც განხილული იქნება წინამდებარე სტატიაში.

საკვანძო სიტყვები: *ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ჰარმონიზაცია, ასოცირების შესახებ შეთანხმება, ასოცირების ხელშეკრულება, დირექტივა, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, (სსსკ), აღსრულება, უზრუნველყოფა, სარჩელის უზრუნველყოფა, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა, 363[25]-363[29] მუხლები.*

1. შესავალი

კაცობრიობის განვითარების განმსაზღვრელი მოვლენები გამოგონებებს, სამეცნიერო და მხატვრულ სიახლეებს უკავშირდება. დღეს განსაკუთრებით თვალშისაცემია ის გარემოება, რომ ცივილიზაციის დღის წესრიგზე არსებით გავლენას ახალი ტექნოლოგიები ახდენს. შემოქმედებითი და ინოვაციური წინსვლის სწრაფი ტემპის მიღწევას, ისტორიულად, ხელი შეუწყო ინტელექტუალური საკუთრების[2] სამართლის სწორმა რეფორმირებამ. ამჟამადაც, ყოველი ნაბიჯი გადადგმული სამართლის ამ დარგის განვითარების კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საყოველთაო პროგრესისათვის.

---

* სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ლექტორი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი.

** კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი და ამავე უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, ადვოკატი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის მთავარი სპეციალისტი.

[1] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. 27/06/2014. იხ. ოფიციალური ვებგვერდი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0> [30.06.2019].

[2] „ინტელექტუალური საკუთრება“ საერთაშორისოდ აღიარებულ ტერმინად დამკვიდრდა 1967 წელს, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის მიღების შემდეგ, ინტელექტუალური საკუთრების ტერმინოლოგიურ განსაზღვრებაზე, დაწვრ. იხ. *საჯაია ლ.*, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბ., 2014, 17, <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/diserta-

განსახილველი საკითხი მეტად აქტუალურია, რადგან საქმე ეხება სიახლეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (სსსკ) ინტელექტუალური საკუთრების დავებზე სარჩელისა და მტკიცებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებების განსაზღვრებასთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, უფლება მაშინ არის რეალიზებული, როცა კანონმდებლობას ნორმათა აღსრულების ძლიერდამცავი ბერკეტი გააჩნია. ***ubi jus, ibi remedium,***[3] ანუ, არ არსებობს უფლება, თუ არ არსებობს მისი ეფექტიანი აღსრულების მექანიზმი – ეს აზრი სტატიას ლაიტმოტივად მიჰყვება.

სამოქალაქო დავებზე სარჩელის უზრუნველყოფა მოწესრიგებულია სსსკ-ის XXIII თავით,[4] ხოლო მტკიცებულებათა უზრუნველყოფა – XIV თავით.[5] ამდენად, სარჩელისა და მტკიცებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებების მარეგულირებელი ნორმები ვრცელდებოდა ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ დავებზეც ისევე, როგორც სხვა მატერიალურ თუ არამატერიალურ ქონებასთან დაკავშირებულ სამოქალაქო სამართალწარმოებაზე.

წინამდებარე სტატიაში განხილულ საკანონმდებლო ცვლილებას ორი მიზეზი უდევს საფუძვლად. პირველი მიზეზი პრაქტიკული ხასიათისაა. ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი ბუნების სპეციფიკიდან გამომდინარე, მასთან დაკავშირებული დავების მომწესრიგებელი მექანიზმები სრულად მორგებული უნდა იყოს დაცვის ობიექტის თავისებურებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზოგადი და საერთო საპროცესო მექანიზმების გამოყენება იწვევს შეფერხებებს სასამართლო განხილვის პროცესში, რასაც ჰქონდა კიდეც ადგილი ქართულ რეალობაში. მეორე მიზეზი, ფორმალურ-სამართლებრივი გახლავთ. ასოცირების ხელშეკრულებით საქართველომ ევროპული კანონმდებლობის ქართულ სამართალში ინტეგრირების ვალდებულება იკისრა. კერძოდ, აქ საქმე გვაქვს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2004/48/EC დირექტივის იმპლემენტაციასთან.

სსსკ-ში გამოყენებულმა ტერმინმა „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის საქმეზე სამართალწარმოების თავისებურებამ“ შეიძლება გარკვეული დაბნეულობა გამოიწვიოს და ეს დასანანი ხარვეზია, რამეთუ როგორც *ივანე ჯავახიშვილს* სწამდა, ტერმინმა მთელი სიზუსტითა და სისრულით უნდა გამოხატოს მეცნიერული ცნება.[6]

ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი ბუნების მრავალწახნაგოვნება განაპირობებდა ობიექტის ცნებისა და მისი მეცნიერული შინაარსის ამსახველი ტერმინების სიმრავლეს.[7] თუმცა თანამედროვე დასავლური დოქტრინა (განსხვავებით რუსული დოქტრინისაგან, რომელიც იყენებს

---

ciebi_samartali/lika_sajaia.pdf> [23.07.2019]. ასევე, *Harms L. T. C.,* A Casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights., 4th ed., WIPO, 2018, 10, <https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_791_2018.pdf> [21.07.2019].

3 „როცა კანონი უფლებას იძლევა, იგი ამავე დროს იძლევა მისი დაცვის საშუალებას“., *კაპანაძე ნ., კვაჭაძე მ.,* ლათინურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, *ჭანტურია ლ., ტაბიძე მ. (რედ.),* თბ., 2008, 86. ასევე., *ნადარეიშვილი გ.,* რომის სამოქალაქო სამართალი, მესამე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2009, 165. იხ. Law Dictionary., <https://dictionary.thelaw.com/ubi-jus-ibi-remedium/> [23.07.2019]. იხ. *Thomas A. T.,* Ubi Jus, Ibi Remedium: The Fundamental Right to a Remedy, The University of Akron, 2004, <https://ideaexchange.uakron.edu/cgi/iewcontent.cgi?referer=https://www.google.com/-&httpsredir=1&article=1208&context=ua_law_publications> [23.07.2019].

4 191-199[1] მუხლები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14/11/1997.

5 იქვე, 109-119 მუხლები.

6 *ჯორბენაძე ს.,* ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984, 379. ასევე, *ტალიაშვილი თ.,* საქონლის წარმოშობის გეოგრაფიული აღნიშვნის სამართლებრივი დაცვის საფუძვლები, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბ., 2003, 13, <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/305872> [03.07.2019].

7 საკუთრების უფლების ტერმინოლოგიურ განსაზღვრებასთან მიმართებით, იხ. *ზარანდია თ.,* სანივთო სამართალი, მეორე შევსებული გამოცემა, თბ., 2019, 206. „არ არსებობს საკუთრების ერთიანი ცნება, არამედ ვხვდებით სრულიად განსხვავებულ კონცეფციებს, განსაზღვრებები კი, რომელთაც იცნობს კონტინენტური ევროპის კოდიფიკაციების უმეტესობა, დამოკიდებული იყო იმ ისტორიულ და პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელშიც კოდიფიკაცია მიმდინარეობდა“.

ტერმინს – *Интеллектуальные Права*) ცალსახად შეთანხმებულია ტერმინზე „ინტელექტუალური საკუთრება“ და „ინტელექტუალური საკუთრების უფლებები“. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ლაკონიურად ასახავს ობიექტის სამართლებრივი ბუნების იმანენტურ ნიშან-თვისებებს.[8]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციაში ასახულია სწორედ ეს აღიარებული ტერმინი – „ინტელექტუალური საკუთრება“. გამომდინარე იქედან, რომ ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი რეგულირება კოდიფიცირებული არ არის და გამოგონების, საავტორო უფლებებისა თუ სხვა ობიექტების რეგულირება ცალკეულ სპეციალურ კანონებშია ასახული, სფეროს გამაერთიანებელი ტერმინის – ინტელექტუალური საკუთრება – გამოყენება პოზიტიური სამართლის სივრცეში ხშირი არ არის. უპრიანია, სსსკ-ი გაჰყვეს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სამართლის მოცემული ინსტიტუტის ამსახველ ტერმინს: „ინტელექტუალური საკუთრების უფლება“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის ჩანაწერიც აღნიშნულს ადასტურებს: ინტელექტუალური საკუთრების უფლება დაცულია).[9]

სტრუქტურულად სტატია შედგება შესავლის, ორი პარაგრაფის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან. მასში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და აღსრულების მექანიზმების ჰარმოზიაცია; ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და აღსრულების ახალი პროცესუალური ნორმები.

2. ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და აღსრულების მექანიზმების ჰარმონიზაცია

ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სფეროში ორმაგად მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა შორის ამა თუ იმ ინსტიტუტის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით პოზიციების თანხვედრა.[10] ერთი სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ეროვნული სამართლებრივი ბერკეტები ამ პრობლემის გადასაწყვეტად არასაკმარისია,[11] გამომდინარე იქიდან, რომ არამატერიალურ სიკეთეზე უფლების ხელყოფას ისეთი თავისებურებები გააჩნია, რომელიც არ გვხვდება „სხეულებრივ ნივთებთან“ მიმართებით. ასევე, ქონებრივი ინტელექტუალური საკუთრების უფლებები ე. წ. „ტერიტორიულობის პრინციპით“ ხასიათდება.[12;13;14] შესაბამისად, გამოსავალი საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორის შეთანხმებებში მოიძებნა.

---

8 *ტალიაშვილი თ.,* საქონლის წარმოშობის გეოგრაფიული აღნიშვნის სამართლებრივი დაცვის საფუძვლები, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბ., 2003, 8, <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/305872> [03.07.2019].

9 საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

10 *ტალიაშვილი თ.,* საპატენტო სამართლის ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „სამართალი“, თბ., 1998, № 5-6, 37-43.

11 *ტალიაშვილი თ.,* საქონლის წარმოშობის გეოგრაფიული აღნიშვნის სამართლებრივი დაცვის საფუძვლები, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბ., 2003, 80-81, <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/305872> [03.07.2019]. ასევე, იხ. *Taliashvili T.,* Der Schutz geografischer Bezeichnungen in Georgien am Maßstab des internationalen und europäischen Rechts, GRUR Int., 2003, 324. *Taliashvili T.,* Reinvention of the Concept of Intellectual Property to Post-Soviet Society – Georgian Experience, Public Lecture, Conference on "Intellectual Property in Modern Europe", GWZO, Universität Leipzig, 2012. *Taliashvili T.,* Internationale Konferenz: Auslegung der Verfassungsnormen in den Postsowjetischen Gesellschaften, Ostrecht, N52, Berlin, 2006.

12 *Lundstedt L.,* Territoriality in Intellectual Property Law, Stockholm University, 2016, 27, <https://su.diva-portal.org/smash/-get/diva2:972658/FULLTEXT01.pdf> [30.08.2019]. *Günther H., Zekoll J., Zumbansen P. (eds.),* Beyond Territoriality: Transnational Legal Authority in an Age of Globalization, Queen Mary Studies in International Law, Brill Academic Publishing, Leiden, Boston, 2012, 189-228.

13 *Peukert A.,* Territoriality and Extraterritoriality in Intellectual Property Law, 2010, 4, <http://www.jura.uni-frankfurt.de/ifrvl/-peukert/forschung/TerritorialityandExtraterritorialityinIntellectualPropertyLaw.pdf.16> [30.08.2019]. *Bradley C. A.,* Territorial Intellectual Property Rights in an Age of Globalism, 37 VA. J. INT'L L. 505, 514-15, 520 (1997), <https://scholarship.-law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1982&context=faculty_scholarship>[30.08.2019].

ევროკავშირი მიმართავს მნიშვნელოვან ძალისხმევას ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის წევრ სახელმწიფოთა შორის დაახლოებისკენ. ხსენებულ პროცესში ძირითად სირთულეს წარმოადგენს ევროპული დირექტივების ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციისა და კანონმდებლობის ტერიტორიული შეზღუდულობის საკითხები.[15]

ევროკავშირის მიზანია ეროვნულ საკანონმდებლო სისტემებს შორის განსხვავებების მაქსიმალურად შემცირება და ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზება. „ჰარმონიზაცია არის ნორმატიული მტკიცება, რა დროსაც განსხვავება ორ სხვადასხვა სამართლებრივ სისტემას შორის მცირდება, თუმცა ეს პროცესი სულაც არაა მარტივი და ხავერდოვანი".[16]

ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე დღის წესრიგში ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელი ნორმების ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის საკითხი დადგა. მიუხედავად იმისა, რომ „ჰარმონიზაცია რბილი ვალდებულებაა",[17] სახელმწიფოს აქვს ნაკისრი ვალდებულება, მოახდინოს ევროპული სტანდარტებისა და დირექტივების ქართულ კანონმდებლობაში იმპლემენტაცია და ეს, უპირველესად, გამომდინარეობს „საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების შესახებ"[18] საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილებიდან. მასში ცალსახადაა აღნიშნული, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროპული კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს.

ისტორიულადაც „ქართველი კანონმდებელი ცდილობდა მის ერს ჰქონოდა ჰარმონიზებული სამართალი, ისეთი, რომელიც არც ეროვნულ ნაჭუჭში ჩაიკეტებოდა და არც ზენაციონალურ უკიდეგანო სივრცეში შთაინთქმებოდა",[19;20] რამდენადაც, „სამართლის ჰარმონიზაცია გულისხმობს არა მხოლოდ გარესამყაროსთან მის მშვიდობიან თანაარსებობას, არამედ ქვეყნის შიგნით ორგანულად ერთიან სამართლებრივ სივრცეს".[21] ჰარმონიზაციის პროცესი ისწრაფვის ორი ან მეტი განსხვავებული ელემენტების გაერთიანების ან მაქსიმალური დაახლოებისაკენ.[22] ჰარმონიზაციის უმთავრესი მახასიათებელი მრავალფეროვნების ერთ ობიექტში გაერთიანებაა.[23] ჰარმონიზაცია არ ნიშნავს ყველა კანონის იდენტურობას,[24] არც ევროპული კავშირის კანონმდებლობის გადმოწერას ან მის „სიტყვა-

---

14 იხ. *ტალიაშვილი თ.,* ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების უცხოეთში დაცვისა და უცხოური ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების საქართველოში დაცვის პრობლემები, პროფ. ზ. ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, *შენგელია რ. (რედ.),* თბ., 2004, 179-187.

15 *Hilty R. M., Moscon* V., Modernisation of the EU Copyright Rules, Position Statement of the Max Planck Institute for Innovation and Competition, Research Paper No. 17-12, Munich, 2017, 14, <https://pure.mpg.de/rest/items/item_2470998_12/component/file_2479390/content> [20.06.2019].

16 *სამხარაძე ი.,* სამართლებრივ სისტემათა ჰარმონიზაცია: ევროკავშირი და საქართველო, „სამართლის ჟურნალი", № 1, 2015, 315.

17 *სურმავა ლ.,* საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი სახელმწიფო დახმარების დარგში, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბ., 2012, 10, <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/lita_surmava.pdf> [26.07.2019].

18 საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების შესახებ", 02/09/1997.

19 *ზოიძე ბ.,* ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, მეათე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2005, 29.

20 *Loewenheim U.,* Harmonization and Intellectual Property in Europe, Columbia Journal of European Law 2, № 3, 1996, 481-489.

21 *ზოიძე ბ.,* ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, მეათე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2005, 39.

22 *Fox E. M.,* Harmonization on Law and Procedures in a Globalized World: Why, What and How? Vol. 60 Antitrust Law Journal, 1992, 594. *Boodman M.,* The Myth of Harmonization of Laws, Vol. 39, The American Journal of Comparative Law, 1991, 699.

23 *სამხარაძე ი.,* სამართლებრივ სისტემათა ჰარმონიზაცია: ევროკავშირი და საქართველო, „სამართლის ჟურნალი", №1, 2015, 316.

24 *Loewenheim U.,* Harmonization and Intellectual Property in Europe, Columbia Journal of European Law 2, № 3, 1996, 488.

სიტყვით“ გადმოტანას მესამე სახელმწიფოს კანონმდებლობაში. ჰარმონიზაცია გულისხმობს ევროპული კავშირის მთავარი პრინციპების გათვალისწინებას და მათი აღსრულების მექანიზმების უზრუნველყოფას.[25] ჰარმონიზაციის პროცესში მნიშვნელოვანია ისეთი სამართლებრივი მექანიზმების განვითარება, რომლებიც წარმატებით დაარეგულირებენ თანამედროვე სამოქალაქო ურთიერთობებს.[26] უფრო მნიშვნელოვნად, კანონის ჰარმონიზაცია ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის შესასრულებელ დავალებად რჩება.

ჰარმონიზაციის მიზნებისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას ინტელექტუალური საკუთრების მომწესრიგებელი ნორმების აღსრულების მექანიზმების შექმნა-შემუშავება წარმოადგენს. თუმცა „სანქციები და აღსრულების ღონისძიებები, რომლებიც ყოველთვის ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონის ნაწილია, როგორც წესი, საერთაშორისო დონეზე არ რეგულირდებოდა“.[27] ამ მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯი იყო ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმება, კერძოდ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმება“.[28;29] თუმცა, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ზემოაღნიშნული დისბალანსის აღმოსაფხვრელად და 2004 წელს მიღებული იქნა ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2004/48/EC დირექტივა[30] (შემდგომში – 2004/48/EC დირექტივა) ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ.

ზემოაღნიშნული დირექტივა ჰორიზონტალურ დირექტივათა რიცხვს განეკუთვნება.[31] მისი მოქმედება ვრცელდება ინტელექტუალური საკუთრების ყველა ობიექტზე, „ორიენტირებულია სამართალწარმოებისას წარმოქმნილ საპროცესო საკითხებზე“[32] და ასევე, ითვალისწინებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პრევენციულ ღონისძიებებს.

---

25 *სურმავა ლ.,* საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი სახელმწიფო დახმარების დარგში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2012, 62, <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/lita_surmava.pdf> [26.07.2019].

26 *ხარიტონაშვილი ნ.,* მესამე პირები როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების სუბიექტები, „სამართლის ჟურნალი“, № 1, 2017, 275.

27 *კური ა., დრეიერი ტ.,* ევროპის ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, ტექსტები, გადაწყვეტილებები და მასალები, *გუგეშაშვილი გ. (თარგმ.)*, თბ., 2017, 478.

28 Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights, (TRIPS Agreement) – შეთანხმება „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“, 14/06/2000, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2507839?publication=0> [26.07.2019]; <https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/27-trips.pdf> [26.07.2019].

29 შეთანხმების ასპექტზე და მნიშვნელობაზე დაწვრ. იხ. *Peter K. Yu.,* The Objectives and Principles of the TRIPS Agreement, <http://www.peteryu.com/correa.pdf> [26.07.2019].

30 ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2004/48/EC დირექტივა „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ“, 29/04/2004, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32004L0048R%2801%29> [26.07.2019]. Directive 2004/48/EC of the European Parliament and of the Council of 29 April 2004 on the Enforcement of Intellectual Property Rights, Official Journal of the European Union, June 2, 2004, L 195/17, <https://www.wilmerhale.com/en/insights/publications/new-eu-directive-on-ip-enforcement-september-16-2004> [26.07.2019].

31 “Direct effect may be vertical (that is, the EU legislation can be enforced against the state or an emanation of the state, such as a nationalised industry or privatised utility) or horizontal (that is, it may be enforced against another individual)”, <https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/6-107-6114?transitionType=Default&contextData=(sc.Default)&firstPage=true&bhcp=1> [12.09.2019]. ასევე, ჰორიზონტალურ დირექტივათა ეფექტზე დაწვრ. იხ., *Lundstedt L.,* Territoriality in Intellectual Property Law, Stockholm University, 2016, 21, 420, <https://su.diva-portal.org/smash/get/diva2:972658/FULLTEXT01.pdf> [30.08.2019].

32 *Cook T.,* Enforcement Directive and Harmonisation of Remedies for Intellectual Property Infringement in the EU, Journal of Intellectual Property Rights, Vol. 20, 2015, 264, <http://nopr.niscair.res.in/bitstream/123456789/31958/1/JIPR%2020%284%29%20264-269.pdf> [26.07.2019].

2004/48/EC დირექტივა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ალტერნატიულ საშუალებებს გვთავაზობს, როგორიცაა: სავაჭრო ქსელიდან კონტრაფაქციული საქონლის გამოთხოვა, მისი კომერციული ქსელიდან ამოღება და უფლების დარღვევით დამზადებული პროდუქტის განადგურება. პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახედ განისაზღვრა სასამართლოს მიერ პირის იმ ქმედების განხორციელების აკრძალვა, რომლითაც ირღვევა განსაკუთრებული უფლება. ალტერნატიული სასამართლო ღონისძიების სახით დირექტივა ასევე ითვალისწინებს დამრღვევისთვის კომპენსაციის დაკისრებასა[33] და მიყენებული ზიანის ანაზღაურებას (მიუღებელი შემოსავლების ჩათვლით). 2004/48/EC დირექტივა, აღნიშნულის გარდა, შეიცავს ისეთ მნიშვნელოვან დებულებებს, როგორიც არის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის დროს მტკიცებულებების უზრუნველყოფა და ზარალის ანაზღაურება.[34]

დირექტივით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში, საიმისოდ, რომ მართლმსაჯულების მიზნები და ამოცანები განუხორციელებელი არ დარჩეს, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დაცვის შესაბამისი სტანდარტები, რომელიც, უპირველესად, გაუმართლებელ შეფერხებებს გამორიცხავს და ამავდროულად, სრულ თანხვედრაში იქნება სააღსრულებო სამართლის ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებთან, როგორიცაა: პროცესის გამჭვირვალეობით უზრუნველყოფილი აღსრულება, ხელმისაწვდომი, ეფექტიანი, პროგნოზირებადი, თანმიმდევრული და რაც მთავარია, გონივრულ დროში განხორციელებული.[35;36;37]

სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, შემდეგ თავში განხილული იქნება ინტელექტუალური საკუთრების დაცვა-აღსრულებასთან დაკავშირებით ქართულ საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები.

3. ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და აღსრულების ახალი პროცესუალური ნორმები

ასოცირების ხელშეკრულების ძალაში შესვლით დაჩქარდა ევროპის ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ქართულ კანონმდებლობაში ჰარმონიზაციის პროცესი. ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საპასუხოდ, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში, ცვლილებების ისეთი პაკეტი შემუშავდა, რომლის ძალით ახლებურად მოწესრიგდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან და აღსრულებასთან დაკავშირებული პროცესუალური ნორმები. სსსკ-ს დაემატა მეშვიდე[5] კარი (363[25]-363[29] მუხლები), რომელმაც განსაზღვრა ინტელექტუალური საკუთრების

---

33 Intellectual Property Rights Enforcement Directive, <https://wiki.openrightsgroup.org/wiki/Intellectual_Property_Rights_Enforcement_Directive#Criticisms> [12.09.2019].

34 *Cook T.,* Enforcement Directive and Harmonisation of Remedies for Intellectual Property Infringement in the EU, Journal of Intellectual Property Rights, Vol. 20, 2015, 266-267, <http://nopr.niscair.res.in/bitstream/123456789/31958/1/JIPR%2020%284-%29%20264-269.pdf> [26.07.2019].

35 *ძლიერიშვილი ზ.,* სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა, „სამართლის ჟურნალი“, №1, თბ., 2018, 5, აგრეთვე ორიგინალში, *Beck'sche Kurz*-Kommentare Zivilprozessordnung mit Gerichtsverfassungsgesetz und anderen Nebengesetzen., Begründet von. 75 Aufl., 2016, Vorb. 704, 2046.

36 აღნიშნულზე დაწვრ. იხ. *ქურდაძე შ., ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ., ჭყონია ზ.,* „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწილი I (1-48 მუხლები), თბ., 2018, 7. ასევე, *უიტდეჰააგი ი., ქურთაული ს.,* საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში, თბ., 2013, 101.

37 პუნქტი 16, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა №(13), 19/11/2010, <https://rm.coe.int/-ccje-13-2010-/168074824c> [27.08.2019].

საქმეებზე სამართალწარმოების თავისებურება.[38] აღნიშნული კატეგორიის დავებზე, სსსკ-ში პირველად განისაზღვრა: ა) მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებები;[39] ბ) ინფორმაციის მიღების უფლება;[40] გ) სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები.[41]

ქართული საპროცესო კანონმდებლობისთვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რასაკვირველია, ინსტიტუციურ სიახლეს არ წარმოადგენს. თუმცა სიახლის შემცველია ის ფაქტი, რომ 2017 წლის 23 დეკემბრიდან ინტელექტუალური საკუთრების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმები კოდექსში განისაზღვრა, დაკონკრეტდა რეგულირების სფერო, ინფორმაციის მიღების უფლება და რაც ყველაზე მთავარია, მტკიცებულების/სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების პროცედურა.

კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, სასამართლოს ვალდებულებად განესაზღვრა ღონისძიებათა გამოყენების შედეგად მიღებული ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა და კონფიდენციალურობის დაცვა,[42] რაც შეეხება უფლებამოსილებითი კატეგორიის ნორმებს, სასამართლოს შეუძლია:

ა) უზრუნველყოს ყადაღის დადება იმ პირის საკუთრებაში არსებულ უძრავ ან/და მოძრავ ქონებაზე (მათ შორის, საბანკო ანგარიშებსა და სხვა აქტივებზე), რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან კომერციული მასშტაბით დაარღვია განსაკუთრებული უფლება; ყადაღის საგნის იდენტიფიცირების მიზნით მიღებული დოკუმენტები/ინფორმაცია გადაეცეს სასამართლოს მიერ დანიშნულ დამოუკიდებელ ექსპერტს;[43]

ბ) გამოითხოვოს შესაძლო დამრღვევისგან მის მფლობელობაში არსებული საბანკო, ფინანსური ან/და კომერციული დოკუმენტები/ინფორმაცია,[44] რომლის გაცნობა მხოლოდ სასამართლოს შეუძლია, რაც ნიშნავს, რომ ინფორმაციასთან წვდომა არაუფლებამოსილ პირს არ გააჩნია;

გ) აუკრძალოს პირს, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია განსაკუთრებული უფლება, იმ ქმედების განხორციელება, რომლითაც ირღვევა განსაკუთრებული უფლება ან აკრძალვის ნაცვლად მოსთხოვოს პირს, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია განსაკუთრებული უფლება, შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა;

დ) კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი. ასეთ დროს, პირს, რომლის მიმართ განხორციელდება

---

38 განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/151540?> [31.07.2019].

39 სსსკ-ის მუხლი 363[27]; ასოცირების ხელშეკრულების 192-ე მუხლი.

40 სსსკ-ის მუხლი 363[28]; ასოცირების ხელშეკრულების 193-ე მუხლი.

41 შეად. სსსკ-ის მუხლი 363[29]; ასოცირების ხელშეკრულებაში სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით არ გვხვდება ტერმინი – სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, თუმცა 194-ე მუხლში ასახულია უზრუნველყოფის დროებითი ღონისძიებები.

42 სსსკ-ის 363[29] მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, ასევე, სსსკ-ის 363[28] მუხლის მე-3 პუნქტი; ასოცირების ხელშეკრულების 192-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

43 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა № (13), 19/11/2010, <https://rm.coe.int/-ccje-13-2010-/168074824c> [27.08.2019]. პუნქტი 25-ში აღნიშნულია, რომ „მოპასუხის აქტივების მიკვლევა და დაყადაღება მაქსიმალურად ეფექტურად უნდა ჩატარდეს, მაგრამ იმავდროულად, გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი დებულებები ადამიანის უფლებების, პერსონალური მონაცემების დაცვის და სასამართლო გადასინჯვის აუცილებლობის საკითხებზე“.

44 იხ. ავტორთა კომენტარი ანალოგიურ დანაწესზე, *კური ა., დრეიერი ტ.,* ევროპის ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, ტექსტები, გადაწყვეტილებები და მასალები, *გუგეშაშვილი გ. (თარგმ.)*, თბ., 2017, 485. „როდესაც დარღვევა ჩადენილია „კომერციული მასშტაბით“, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ეროვნულ სასამართლოებს მიანიჭონ უფლება, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნისა და სათანადო გარემოებების არსებობისას მოითხოვონ საბანკო, ფინანსური და კომერციული დოკუმენტაციის წარდგენა, რომელიც მოწინააღმდეგე მხარის კონტროლქვეშაა და კონფიდენციალურ ინფორმაციას განეკუთვნება.“

უზრუნველყოფის ღონისძიება, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ღონისძიებათა გამოყენებიდან არაუგვიანეს 48 საათისა;[45]

ე) განსაზღვროს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან ერთად, შესაძლო ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფაც.

კანონმდებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სასამართლო ასევე უფლებამოსილია განსაკუთრებული უფლების მფლობელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე განჩინება მტკიცებულებათა შენარჩუნების მიზნით, თუ არსებობს მათი განადგურების საფრთხე.[46] უფრო მეტიც, თუ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა აღნიშნული ღონისძიებების გამოყენებით ვერ ხერხდება, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ყადაღის დადება, როგორც გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის ან გაძნელების თავიდან აცილების აუცილებელი საშუალება.[47] აღსანიშნავია, რომ სასამართლოს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებისას მოახდინოს როგორც სავარაუდო კანონდარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის დეტალური აღწერა (ნიმუშის აღებით ან უამისოდ), ისე ყადაღის დადება.[48] ამ ნორმის მნიშვნელოვანი დანაწესი ის გახლავთ, რომ სასამართლოს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის საქმეზე, შეუძლია ერთდროულად გამოიყენოს რამდენიმე ღონისძიება და ეს დამოკიდებულია იმაზე, საქმის გარემოების ანალიზიდან გამომდინარე, მოსარჩელე რომელ პრევენციულ ღონისძიებას განსაზღვრავს.

სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, დაისმის კითხვა: თუ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდა უზრუნველყოფის ღონისძიების მომწესრიგებელ ნორმებს,[49] რა აუცილებლობას წარმოადგენდა დამატებით ასახულიყო ანალოგიური დებულებები იმავე კოდექსის მეშვიდე[5] კარში?

ამის პასუხად ვიზიარებთ პოზიციას, რომლითაც 2017 წლის 23 დეკემბრამდე „შესაძლებელი იყო მოსარჩელეს მოეთხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რომელიც ექცეოდა სხვა ღონისძიებათა კატეგორიაში და საკმაოდ რთული იყო დასაბუთება იმისა, თუ რატომ უნდა გამოყენებულიყო განსხვავებული ტიპის უზრუნველყოფა".[50] ინტელექტუალური საკუთრების დავები დროში განსაკუთრებით ჭიანურდებოდა, ხელშემწყობ ფაქტორად კი სასამართლო ინსტანციების გადატვირთულობაც სახელდებოდა. უზრუნველყოფის ღონისძიების 1-დღიან ვადაში გამოყენებით, ეს პრობლემა აღმოიფხვრა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა-აღსრულება გახდა ეფექტიანი და სწრაფი.

პროცესუალურად, სარჩელის უზრუნველყოფის მიზანი „მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნაა".[51;52] სარჩელის უზრუნველყოფა მომავალში შესასრულებელი გადაწყვეტილების აღსასრულებლად და ნეგატიური შედეგების გამოსარიცხად გამოიყენება.[53] უზრუნველყოფის ღონისძიების უმთავრესი ფუნქციაა, სამართალწარმოების პროცესში, გამოუსწორებელი და პირდაპირი ზიანისგან დაიცვას მხარე.

---

45 სსსკ-ის მუხლი 363[27] მე-5 პუნქტი; ასოცირების ხელშეკრულების 192-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

46 სსსკ-ის 363[27] მუხლის 1-ლი პუნქტი.

47 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/4597-14, <http://www.tbappeal.court.ge/appealAllFiles/files/appeal_docs/1415211897__-841888428.pdf> [03.09.2019].

48 სსსკ-ის 363[27] მუხლი; ასოცირების შესახებ შეთანხმების 192-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

49 იხ. სსსკ-ის XXIII თავი, მუხლი 191-199[1].

50 იხ. კაიკაციშვილი და ადვოკატები, <http://kbarristers.ge/ge/news/index/74> [12.08.2019].

51 *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, 382.

52 *ნაჭყებია ა.,* სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში 2000-2013, თბ., 2014, 466, <http://www.library.court.ge/upload/aleko_nachkhebia_final.pdf> [01.09.2019].

53 შედ.: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 5 სექტემბრის საქმე, №2-4883-14, ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლოს არქივში.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და ეფექტიანი აღსრულების თვალსაზრისით, ფაქტია, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აუცილებლად საჭიროებდა როგორც მტკიცებულებათა უზრუნველყოფის საპროცესო ღონისძიებას, ისე სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფას, როგორც „სამართლიანი სასამართლოს უფლებით ეფექტურად სარგებლობის გარანტიას“.[54] საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ისინი „თვისობრივად განსხვავებული საპროცესო ელემენტებია“.[55;56] თუ პირველ შემთხვევაში მტკიცებულებათა უზრუნველყოფა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის ფაქტების დადგენის მიზნით ხორციელდება,[57] ეს უკანასკნელი (სარჩელის უზრუნველყოფა) სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას ემსახურება.[58;59] საბოლოოდ, ორივე ღონისძიება მიმართულია დარღვეული უფლების მქონე სუბიექტის დაცვის ხარისხის გაუმჯობესებისკენ.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის საპროცესო მიზანია „კანონით დადგენილი წესით დაამაგროს მტკიცებულებები სამოქალაქო საქმის არსებითად განხილვის დროს მათი გამოყენებისათვის“[60] მაშინ, როდესაც „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი იცავს მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს მოპასუხის არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში“.[61]

სასამართლო პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც მხარე მოკლებულია შესაძლებლობას, წარადგინოს მისი მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს მხარეთა შუამდგომლობით, შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, ვისთანაც არ უნდა იყოს ისინი.[62] სწორედ ეს არის მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ზოგადი სტანდარტი და მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების თავში ამ ინსტიტუტის არსებობა იმ მხრივაც, რომ „ზოგიერთ სიტუაციაში მნიშვნელოვანი მტკიცებულება შეიძლება დაზიანდეს ან განადგურდეს, თუ ის სათანადოდ არ იქნება უზრუნველყოფილი მესამე მხარის მიერ, ან ბოლოს და ბოლოს შესაძლოა აქტივებს სჭირდებოდეს დაცვა“.[63]

სარჩელში არსებული გარემოებების დასადასტურებლად, მხარისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სასამართლოსთვის იმ მტკიცებულების წარდგენა, რომლითაც იგი მოთხოვნის კანონიერებას დაასაბუთებს, ხოლო მტკიცებულებას არ უნდა შეექმნას განადგურების ან/და დაზიანების საფრთხე. სწორედ ამიტომ, კანონმდებელმა, სარჩელის უზრუნველყოფის პარალელურად, მტკიცე-

---

54 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/6/746 საქმეზე: შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, <https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/2-6-746-shps-djordjian-manganezi-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg2.page> [03.09.2019].

55 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-827-1190-06, ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლოს არქივში.

56 შენიშვნა: „მტკიცებულებათა უზრუნველყოფა საქმისათვის მნიშვნელობის ფაქტების დადგენის მიზნით ხორციელდება, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას ემსახურება“. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე ას-827-1190-06, ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლოს არქივში.

57 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 08 აპრილის საქმე №2/7126-19, ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლოს არქივში.

58 *კაჟაშვილი გ.,* მტკიცებულების უზრუნველყოფისა და უზრუნველყოფის გარანტიის როლი საქმისწარმოებაში, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 77.

59 *ძლიერიშვილი ზ.,* სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2018, 6.

60 *ლილუაშვილი თ.,* სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, 266.

61 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 03 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-538-511-2013.

62 *გაგუა ი.,* მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბ., 2012, 26, <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/ilona_gagua.pdf> [09.08.2019].

63 *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.,* დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, საბაზისო სახელმძღვანელო, თბ., 2014, 250, <http://ewmi-prolog.org/images/files/2188ADR_Georgia_GEO.pdf> [13.07.2019].

ბულების უზრუნველყოფის პროცედურაც განსაზღვრა, რითაც კიდევ ერთხელ მოახდინა ევროდირექტივების ჰარმონიზება და ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. 2017 წლის 23 დეკემბრიდან ნებისმიერი დავა, რომელიც დაკავშირებულია ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და აღსრულებასთან, სსსკ-ის სპეციალური მუხლებით წესრიგდება, რაც ასოცირების ხელშეკრულების შესრულების თვალსაზრისით, წინგადადგმული ნაბიჯია.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის საქმეზე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი და დასაბუთების ნაწილში მიუთითა, რომ აღსრულების მიზნებისათვის პროცედურული ღონისძიებების, მათ შორის, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სახელმწიფოს ვალდებულებად აცხადებს. სტრასბურგის სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე – *სტატიბა გუსელნიკოვას წინააღმდეგ*[64] განმარტა, რომ ყადაღის ბრძანება, რომელიც იყო დროებითი და პრევენციული ხასიათის, მიმართული იყო, სარჩელის აღსრულებისა და იმ რისკების აღმოფხვრისკენ, რომლებიც აფერხებდა ან ხელს უშლიდა კრედიტორის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.[65]

უზრუნველყოფის ღონისძიებების პარალელურად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობამ გაითვალისწინა შესაძლო ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფაც.[66] თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებით ზარალი შეიძლება მიადგეს პირს, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი განსაკუთრებული უფლების დარღვევის შესახებ, შეუძლია, გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ამავდროულად, მოსთხოვოს განსაკუთრებული უფლების მფლობელს მოწინააღმდეგე მხარისთვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. სასამართლომ უზრუნველყოფის გარანტია შეიძლება გამოიყენოს, ასევე, მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე.[67]

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხისათვის მიყენებული ზიანის უზრუნველყოფის გარანტიების შექმნის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც სასამართლოს აქვს დასაბუთებული ეჭვი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება გაუმართლებელი აღმოჩნდეს და ასევე სახეზეა ზიანი, რომელიც მოპასუხეს უზრუნველყოფის ღონისძიებით ადგება ან შეიძლება მიადგეს.[68] საგულისხმოა, რომ სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილში 2018 წლის 4 აპრილს განხორციელდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება, რომლითაც მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა ხდება სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში და ეს ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 30 დღეს.[69]

ინტელექტუალური საკუთრების დავებთან მიმართებით სსსკ-ის 363[25]-363[29] მუხლები მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელების ზუსტ, პრაქტიკულ სახელმძღვანელოდ იქცევა და ერთგვარ გზამკვლევად სამოსამართლო კორპუსისთვის. საქართველოს კანონმდებლობის „ევროპეი-

---

[64] JGK Statyba LTD and Guselnikovas v. Lithuania, [2013] ECHR, <http://en.efhr.eu/2010/02/11/case-jgk-statyba-ltd-guselnikovas-v-lithuania-application-no-333012-2013/> [09.08.2019].

[65] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 2 მარტის განჩინება, ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლოს არქივში.

[66] იხ. სსსკ-ის 363[29] მუხლის მე-4 პუნქტი.

[67] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/151540?> [31.07.2019].

[68] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/5617-14, <http://www.tbappeal.court.ge/appealAllFiles/files/appeal_docs/1415211897__-841888428.pdf> [03.09.2019].

[69] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, საკანონმდებლო მაცნე, 04/04/-2018. დაწვრ. იხ. *ძლიერიშვილი ზ.,* სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა, „სამართლის ჟურნალი“, № 1, 2018, 16.

ზაციის პროცესში“ ზემოაღნიშნული საკითხების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა მზარდია,[70] რამდენადაც „მასშტაბური ჰარმონიზაციის პროცესში მნიშვნელოვანია, რომ სსსკ შეესაბამებოდეს საერთაშორისო მიდგომებს“.[71]

იმის მიუხედავად, რომ ნორმათა ამოქმედებიდან მცირე პერიოდია გასული და შესაბამისად, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული დავები საკმარისად არ დაგროვებულა სასამართლო ინდექსის შესაფასებლად, უზრუნველყოფის ღონისძიებების სამომავლო ეფექტიანობის პროგნოზირება შესაძლებელია. სსსკ-ის 363[25]-363[29] მუხლებს აქტიური გამოყენება ექნება პრაქტიკაში, რადგან ისინი მხარეთა თანაბარ პირობებში დაცვას უზრუნველყოფენ.

4. დასკვნა

წარმოდგენილი კვლევა იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და აღსრულების მექანიზმებთან დაკავშირებით გახლდათ სწორი საკანონმდებლო გადაწყვეტილება. იმის მიუხედავად, რომ ევროპის ქვეყნებში თითქმის თხუთმეტი წლით ადრე დაინერგა ზემოხსენებული ნორმები, კარგი სამართლებრივი მიგნებების რეცეფცია არასდროს არაა გვიან, რამდენადაც ახალი საკანონმდებლო ბაზა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში წარმოშობილი დავების პროცესს ხდის უფრო ეფექტიანს, სწრაფს და მოქნილს.

სტატიაში განხილული ნორმები, სამოქალაქო პროცესში მონაწილე მხარეებისთვის, პრაქტიკული მნიშვნელობისაა. ინტელექტუალური საკუთრების შეუფერხებლად გამოყენება სამოქალაქო ბრუნვაში არსებითად მნიშვნელოვანია საყოველთაო პროგრესისათვის. რაკი, დღეს, თითქმის ყველა ფუნდამენტური ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული ცვლილება ინტელექტუალური საკუთრების ეგიდით მიმდინარეობს.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.
2. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის 27/06/2014, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0> [30.06.2019].
3. ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2004/48/EC დირექტივა „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ“ 29/04/2004, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32004L0048R%2801%29> [26.07.2019].
4. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა № (13), 19/11/2010, <https://rm.coe.int/-ccje-13-2010-/168074824c> [27.08.2019].
5. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14/11/1997.
6. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების შესახებ“, 02/09/1997.

[70] *ძამუკაშვილი დ.,* ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, თბ., 2002, 111.

[71] *ხარიტონაშვილი ნ.,* მესამე პირები როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების სუბიექტები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2017, 285.

7. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/151540?> [31.07.2019].
8. *გაგუა ი.,* მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბ., 2012, 26 <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/ilona_gagua.pdf> [09.08.2019].
9. *ზარანდია თ.,* სანივთო სამართალი, მეორე შევსებული გამოცემა, თბ., 2019, 206.
10. *ზოიძე ბ.,* ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, მეათე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2005, 29, 39.
11. *კაპანაძე ნ., კვაჭაძე მ.,* ლათინურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, *ჭანტურია ლ., ტაბიძე მ. (რედ.),* თბ., 2008, 86.
12. *კაჟაშვილი გ.,* მტკიცებულების უზრუნველყოფისა და უზრუნველყოფის გარანტიის როლი საქმისწარმოებაში, „სამართლის ჟურნალი“, № 1, 2016, 77.
13. *კური ა., დრეიერი ტ.,* ევროპის ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, ტექსტები, გადაწყვეტილებები და მასალები, *გუგეშაშვილი გ. (თარგმ.)*, თბ., 2017, 478, 485.
14. *ლილუაშვილი თ.,* სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, 266.
15. *ნადარეიშვილი გ.,* რომის სამოქალაქო სამართალი, მესამე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2009, 165.
16. *ნაჭყებია ა.,* სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში 2000-2013, თბ., 2014, 466 <http://www.library.court.ge/upload/aleko_nachkhebia_final.pdf> [01.09.2019].
17. *ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ.,* დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, საბაზისო სახელმძღვანელო, თბ., 2014, 250, <http://ewmi-prolog.org/images/files/2188ADR_Georgia_GEO.pdf> [13.07.2019].
18. *სამხარაძე ი.,* სამართლებრივ სისტემათა ჰარმონიზაცია: ევროკავშირი და საქართველო, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2015, 315-316.
19. *საჯაია ლ.,* ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბ., 2014, 17 <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/lika_sajaia.pdf> [23.07.2019].
20. *სურმავა ლ.,* საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი სახელმწიფო დახმარების დარგში, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბ., 2012, 10, 62, <http://press.-tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/lita_surmava.pdf> [26.07.2019].
21. *ტალიაშვილი თ.,* საპატენტო სამართლის ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „სამართალი“, № 5-6, 1998, 37-43.
22. *ტალიაშვილი თ.,* საქონლის წარმოშობის გეოგრაფიული აღნიშვნის სამართლებრივი დაცვის საფუძვლები., სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბ., 2003, 8, 13, 80-81, <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/305872> [03.07.-2019].
23. *ტალიაშვილი თ.,* ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების უცხოეთში დაცვისა და უცხოური ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების საქართველოში დაცვის პრობლემები, პროფ. ზ. ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, *შენგელია რ. (რედ.),* თბ., 2004, 179-187.
24. *უიტდეჰააგი ი., ქურთაული ს.,* საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში, თბ., 2013, 101.
25. *ქურდაძე შ., ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ., ჭყონია ზ.,* „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწილი I (1-48 მუხლები), თბ., 2018, 7.
26. *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2015, 382.
27. *ძამუკაშვილი დ.,* ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები., თბ., 2002, 111.
28. *ძლიერიშვილი ზ.,* სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა, „სამართლის ჟურნალი“, № 1, 2018, 5-6, 16.
29. *ხარიტონაშვილი ნ.,* მესამე პირები როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების სუბიექტები, „სამართლის ჟურნალი“, № 1, 2017, 275, 285.
30. *ჯორბენაძე ს.,* ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984, 379.

31. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/6/746 საქმეზე: შპს „ჯორჯიან მანგანეზი> საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, <https://www.constcourt.-ge/ge/legal-acts/judgments/2-6-746-shps-djordjian-manganezi-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg2.page> [03.09.2019].
32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 03 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-538-511-2013.
33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-827-1190-06.
34. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: № 2ბ/4597-14, <http://www.tbappeal.court.ge/appealAllFiles/files/appeal_docs/1415211897__-841888428.pdf> [03.09.2019].
35. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №2ბ/5617-14.
36. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №2-4883-14.
37. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 08 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: №2/7126-19.
38. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 2 მარტის განჩინება.
39. Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights, 14/06/2000 (TRIPS Agreement) 14/06/2000, <https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/27-trips.pdf> [26.07.2019].
40. Intellectual Property Rights Enforcement Directive, <https://wiki.openrightsgroup.org/wiki/Intellectual_Property_Rights_-Enforcement_Directive#Criticisms> [12.09.2019].
41. *Beck'sche Kurz*-Kommentare Zivilprozessordnung mit Gerichtsverfassungsgesetz und anderen Nebengesetzen., Begründet von. 75 Aufl., 2016, Vorb. 704, 2046.
42. *Boodman M.,* The Myth of Harmonization of laws, Vol. 39, The American Journal of Comparative Law, 1991, 699.
43. *Bradley C. A.,* Territorial Intellectual Property Rights in an Age of Globalism, 37 VA. J. INT'L L., 1997, 505, 514-15, 520, <https://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1982&context=faculty_scholarship> [30.08.2019].
44. *Cook T.,* Enforcement Directive and Harmonisation of Remedies for Intellectual Property Infringement in the EU, Journal of Intellectual Property Rights,Vol. 20, 2015, 264, 266-267, <http://nopr.niscair.res.in/bitstream/123456789/31958/1/JIPR%2020%284%29%20264-269.pdf> [26.07.2019].
45. *Fox E. M.,* Harmonization on Law and Procedures in a Globalized World: Why, What and How? Vol. 60, Antitrust Law Journal, 1992, 594.
46. *Günther H., Zekoll J., Zumbansen P. (eds.),* Beyond Territoriality: Transnational Legal Authority in an Age of Globalization, Queen Mary Studies in International Law, Brill Academic Publishing, Leiden, Boston, 2012, 189-228.
47. *Harms L. T. C.*, A Casebook on the Enforcement of Intellectual Property Rights, 4th ed., WIPO, 2018, 10, <https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_791_2018.pdf> [21.07.2019].
48. *Hilty R. M, Moscon V.*, Modernisation of the EU Copyright Rules, Position Statement of the Max Planck Institute for Innovation and Competition, Research Paper No. 17-12, Munich, 2017, 14, <https://pure.mpg.de/rest/items/item_-2470998_12/component/file_2479390/content> [20.06.2019].
49. *Loewenheim U.,* Harmonization and Intellectual Property in Europe, Columbia Journal of European Law 2, № 3, 1996, 481-489.
50. *Lundstedt L.,* Territoriality in Intellectual Property Law, Stockholm University, 2016, 21, 27, 420, <https://su.diva-portal.-org/smash/get/diva2:972658/FULLTEXT01.pdf> [30.08.2019].
51. *Peter K. Yu.,* The Objectives and Principles of the TRIPS Agreement, <http://www.peteryu.com/correa.pdf> [26.07.2019].
52. *Peukert A.,* Territoriality and Extraterritoriality in Intellectual Property Law, 2010, <http://www.jura.uni-frankfurt.de/ifrvl/peukert/forschung/TerritorialityandExtraterritorialityinIntellectual PropertyLaw.pdf.16> [30.08.2019].
53. *Taliashvili T.,* Der Schutz geografischer Bezeichnungen in Georgien am Maßstab des internationalen und europäischen Rechts, GRUR Int, 2003, 324.
54. *Taliashvili T.,* Internationale Konferenz: Auslegung der Verfassungsnormen in den Postsowjetischen Gesellschaften, Ostrecht, N52, Berlin, 2006.
55. *Taliashvili T.,* Reinvention of the Concept of Intellectual Property to Post-Soviet Society – Georgian Experience, Public Lecture, Conference on "Intellectual Property in Modern Europe", GWZO, Universität Leipzig, 2012.

56. *Thomas T. A.,* Ubi Jus, Ibi Remedium: The Fundamental Right to a Remedy, The University of Akron, 2004, <https://idea-exchange.uakron.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.com/&httpsredir=1&article=1208&context=ua_law_publications> [23.07.2019].
57. *JGK Statyba ltd and Guselnikovas v. Lithuania*, [2013], ECHR, <http://en.efhr.eu/2010/02/11/case-jgk-statyba-ltd-guselnikovas-v-lithuania-application-no-333012-2013/> [09.08.2019].
58. კაიკაციშვილი და ადვოკატები, <http://kbarristers.ge/ge/news/index/74> [12.08.2019].
59. Law Dictionary, 1, <https://dictionary.thelaw.com/ubi-jus-ibi-remedium/>, [23.07.2019].
60. <https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/6-107-6114?transitionType=Default&contextData=(sc.Default)&firstPage=true&bhcp=1>, 7 [12.09.2019].